საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების დაკისრების თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

თორნიკე ბაქრაძე - კოლეგიის თავმჯდომარე

მარიკა არევაძე - კოლეგიის წევრი

ცისმარი ონიანი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ზ. ხ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 24.12.2020

საჩივრის რეგისტრაციის №159/19

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ზ. ბ.-ის /სიითი №/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ზ. ბ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2019 წლის 24 დეკემბერს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ზ. ხ.-მა და მოითხოვა ადვოკატ ზ. ბ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება და თანხის უკან დაბრუნება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2019 წლის 23 ნოემბერს რუსეთიდან ჩამოვიდა საქართველოში, მეუღლესთან განქორწინების მიზნით. განქორწინება უნდა მომხდარიყო ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, თუმცა მეუღლის ძმამ ზ. ხ.-ს მოსთხოვა უძრავი ქონება. დავის გადაწყვეტის მიზნით ზ. ხ.-მა მიმართა ადვოკატ ზ. ბ.-ს. საადვოკატო მომსახურებისთვის ადვოკატმა საჩივრის ავტორისგან მიიღო $3000 აშშ დოლარი, რომელიც მოიცავდა განქორწინებისა და ქონების

გაყოფისთვის გათვალისწინებული პროცედურების განხორციელებას. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა მას აცნობა, რომ მხოლოდ განქორწინების საქმე დაჯდებოდა $1000 აშშ დოლარი, ხოლო თუ მას თან ახლდა ქონებრივი დავაც, მაშინ ეს თანხა გაიზრდებოდა $3000 აშშ დოლარამდე. ზ. ხ.-ს ადვოკატთან არ ჰქონდა შეთანხმება სხვა სამართლებრივ მომსახურებაზე. შესაბამისად, ადვოკატს მისთვის სხვა საკითხებზე სამართლებრივი დახმარება არ გაუწევია. საჩივრის ავტორმა წარმოადგინა 2019 წლის 03 დეკემბერს შედგენილი თანხის მიღება ჩაბარების აქტი, რომლის მიხედვით ზ. ბ.-მა ზ. ხ.-ისგან მიიღო „საქართველოში განქორწინების (პროცედურების) და საქართველოში არსებული მეუღლეთა სავარაუდო თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გაყოფასთან დაკავშირებული დავისთვის აუცილებელი ხარჯები $3000 აშშ დოლარის ოდენობით“.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, მას შემდეგ, რაც ადვოკატმა მიიღო მომსახურების თანხა, ზ. ხ.-ს დაუკავშირდა მეუღლე და შესთავაზა დავის გარეშე მომხდარიყო განქორწინება. ზ. ხ.-მა და მისმა მეუღლემ განქორწინების მიზნით მიმართეს იუსტიციის სახლს 2019 წლის 09 დეკემბერს. ადვოკატი წინასწარ იყო ინფორმირებული, რომ იუსტიციის სახლში უნდა მომხდარიყო განქორწინება და ზ. ხ. ადვოკატ ზ. ბ.-ს დაახლოებით 4 საათი ელოდებოდა იუსტიციის სახლში, თუმცა ადვოკატი არ მივიდა იქ და არ პასუხობდა საჩივრის ავტორის სატელეფონო ზარებს. საჩივრის ავტორმა განქორწინების მოწმობა მიიღო 2019 წლის 17 დეკემბერს.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა ზ. ბ.-მა მას საადვოკატო მომსახურება არ გაუწია, რის გამოც მიიჩნევს, რომ ადვოკატს უნდა დაებრუნებინა მომსახურებისთვის გადახდილი თანხა. ადვოკატი არ პასუხობდა ზ. ხ.-ის ზარებს, საჩივრის ავტორი მივიდა ადვოკატთან ოფისში და მოსთხოვა, გადაცემული თანხიდან ნაწილის დაბრუნება. შეხვედრის დროს, ადვოკატი უხეშად ესაუბრა ზ. ხ.-ს და უარი განაცხადა თანხის დაბრუნებაზე.

1.5 საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ ადვოკატმა არ გაუწია მას შეთანხმებით გათვალისწინებული მომსახურება. განქორწინება მოხდა ურთიერთშეთანხმებით და საჭირო აღარ გახდა სამართლებრივი დავის დაწყება. ადვოკატმა მხოლოდ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდიდან ამოიღო ზ. ხ.-ის ყოფილი მეუღლის სახელზე რეგისტრირებული ქონების შესახებ ინფორმაცია, რასაც საჩივრის ავტორი ვერ მიიჩნევს მომსახურების გაწევად, რადგან აღნიშნული დოკუმენტი არის საჯარო და მას ზ. ხ. თავადაც მოიპოვებდა. ასევე, არ გახდა საჭირო ადვოკატის მიერ შედგენილი საქორწინო ხელშეკრულებაზე ხელმოწერა. შესაბამისად, საჩივრის ავტორი მოითხოვს ადვოკატის დისციპლინირებას და გამოუმუშავებელი თანხის დაბრუნებას.

1.6 საჩივრის ავტორმა საკუთარი პოზიცია კიდევ ერთხელ დაადასტურა 2021 წლის 15 ივლისის განხილვის კოლეგიის სხდომაზე.

2. მოწმე ო. ხ.-ის განმარტება:

2.1 საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის საფუძველზე, 2020 წლის 19 თებერვალს ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე მოწმის სახით გამოცხადდა ო. ხ., რომელიც არის საჩივრის ავტორის ბიძა.

2.2 მოწმის განმარტებით, ადვოკატ ზ. ბ.-ს ზ. ხ. შეხვდა ორჯერ. შეხვედრებზე ზ. ხ.-თან ერთად იმყოფებოდა ო. ხ.. პირველი შეხვედრის დროს მხარეები შეთანხმდნენ, რომ ადვოკატს უნდა განეხორციელებინა ზ. ხ.-ის დაცვა განქორწინების საქმეზე. ადვოკატმა ზ. ხ.-ს უთხრა, რომ

სასამართლო პროცესები დიდხანს გაგრძელდებოდა და მოსთხოვა 3000 აშშ დოლარის გადახდა. მეორე შეხვედრაზე ზ. ხ.-მა ადვოკატს სრულად გადასცა მომსახურებისთვის გათვალისწინებული თანხა.

2.3 მოწმის განმარტებით, ზ. ხ.-ს დაუკავშირდა მისი მეუღლე და შეთანხმდნენ, რომ განქორწინება მომხდარიყო იუსტიციის სახლში. საჩივრის ავტორმა სთხოვა ადვოკატს იუსტიციის სახლში მისვლა მასთან ერთად. ადვოკატი არ მივიდა იუსტიციის სახლში და ზ. ხ. და მისი მეუღლე მისი დასწრების გარეშე განქორწინდნენ. ამის შემდეგ, ზ. ხ. ურეკავდა ადვოკატს, თუმცა ადვოკატი არ პასუხობდა მის ზარებს.

2.4 მოწმის განმარტებით ადვოკატმა ზ. ხ.-ს არ გაუწია სამართლებრივი დახმარება განქორწინების საქმეზე და არც სხვა სამართლებრივი მომსახურეობა განახორციელა საჩივრის ავტორის ინტერესების სასარგებლოდ.

3. ადვოკატის პოზიცია:

3.1 2020 წლის 08 იანვარს ადვოკატმა ზ. ბ.-მა ეთიკის კომისიაში წარმოადგინა ახსნა-განმარტება, რომლის მიხედვით არ დაეთანხმა საჩივრის ავტორის პრეტენზიებს.

3.2 ადვოკატის განმარტებით, 2019 წლის ნოემბრის ბოლოს დაუკავშირდა რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ზ. ხ., რომელსაც ესაჭიროებოდა საადვოკატო მომსახურება. 2019 წლის 27 ნოემბერს ზ. ხ.-მა მისი ინტერესების დაცვისთვის ადვოკატ ზ. ბ.-ს უფლებამოსილება მიანიჭა მინდობილობის საფუძველზე. საჩივრის ავტორი რამდენჯერმე იმყოფებოდა ადვოკატის ოფისში, ქალაქ თელავში. კლიენტისგან მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, საჩივრის ავტორი ყოფილი მეუღლისგან და მისი ოჯახის წევრისგან იყო ერთგვარი შანტაჟის მსხვერპლი, ვინაიდან ისინი სთხოვდნენ თანხას ან/და ბინას ქალაქ თბილისში, წინააღმდეგ შემთხვევაში ჰპირდებოდნენ საქმის გართულებას და მისთვის ზარალის მიყენებას. ზ. ხ.-მა სურვილი გამოთქვა, რომ ადვოკატ ზ. ბ.-ს მინიმალური დანახარჯებით განეხორციელებინა მისი ინტერესების დაცვა განქორწინებისა და ქონებრივ დავაში. ადვოკატი დაჰპირდა, რომ შეადგენდა სტრატეგიას მისი ინტერესების დასაცავად.

3.3 ადვოკატის განმარტებით, ზ. ხ.-ისგან ჯერ კიდევ არ ჰქონდა მომსახურების თანხა მიღებული, როდესაც, მან კონსულტაციები გაუწია მოქალაქეობის აღდგენის, ქართული პასპორტის მიღების, უძრავი ქონების მიღების და სამემკვიდრეო საკითხებზე. სწორედ საკითხის ვრცელი ბუნების და მოცულობითი სამუშაოს გამო განისაზღვრა მომსახურების თანხა 3000 აშშ დოლარი. განქორწინების საქმეზე ადვოკატის მიერ შემუშავებული სტრატეგია მოიწონა ზ. ხ.-მა და მიიჩნია, რომ ეს იყო მისთვის საუკეთესო გამოსავალი.

3.4 ადვოკატის განმარტებით, ზ. ხ.მა შეთანხმებული ჰონორარი საკუთარი სურვილით გადასცა ხელზე, რადგან მას არ ჰქონდა ქართული საბანკო ანგარიში და ქვეყნის დატოვებას მეორე დღეს აპირებდა. საჩივრის ავტორმა ადვოკატს მოსთხოვა თანხის გადაცემის დამადასტურებელი დოკუმენტის შედგენა. ადვოკატმა განუმარტა ზ. ხ.ს, რომ მას თანხის ჩარიცხვა დოლარის სახით შეეძლო რუსეთის ფედერაციიდანაც, რადგან მსგავს დანაწესს კანონმდებლობა უშვებდა.

3.5 ადვოკატი ჩამონათვალს აკეთებს მის მიერ ზ. ხ.-ის სასარგებლოდ განხორციელებული მოქმედებების შესახებ, რომლებიც მოიცავს შემდეგს: კონსულტაციები და საკანონმდებლო უზრუნველყოფა მეუღლეთა საერთო ქონებასთან, მისი გაყოფის წესებთან და შესაძლო მარტივ

გამოსავლებთან დაკავშირებით; კონსულტაციები და საკანონმდებლო უზრუნველყოფა მოქალაქეობის აღდგენასთან, ქართულ საიდენტიფიკაციო დოკუმენტების მიღების წესებთან და სხვა თანმდევ სამართლებრივ მოვლენებთან დაკავშირებით; კონსულტაციები და სამართლებრივი უზრუნველყოფა სოფლად მცხოვრები კომლების ქონების რეგისტრაციის, მისი სათანადო გაფორმების, ელექტრონული ნახაზების შედგენასთან და საჯარო რეესტრში დარეგისტრირებასთან დაკავშირებით; შესაბამისი ორგანოებიდან გამოთხოვილი და მოძიებული იქნა ინფორმაცია კლიენტის ყოფილი მეუღლის საიდენტიფიკაციო მონაცემების, ქონებრივი მდგომარეობის, ამ ქონების წარმომავლობის და მისი ამჟამინდელი მდგომარეობის შესახებ; მომზადებული იქნა უძრავი ქონების მიმართ აკრძალვის (შეზღუდვის ყადაღის-სარჩელის უზრუნველყოფის) გავრცელებისთვის აუცილებელი შუამდგომლობების პროექტები, რომელთა წარდგენის აუცილებლობაც აღარ დადგა დღის წესრიგში; მომზადდა კონკრეტული დაცვითი სტრატეგია - კლიენტის ქონების შენარჩუნების და ქონებრივი ზარალის რისკების შემცირების ინდივიდუალური გეგმა - რომელმაც გაამართლა შემდგომში და დადგა კლიენტისთვის მნიშვნელოვანი დადებითი შედეგები; მომზადდა და კლიენტს გადაეგზავნა საქორწინო კონტრაქტის პროექტი, რომელიც მხარემ მოიწონა; ნოტარიუს ი. გ.-სთან შეთანხმდა დრო და პროცედურები, როდესაც უნდა მომხდარიყო ხელმოწერათა ნოტარიული დამოწმება (საქორწინო ხელშეკრულებაზე), სადაც მეუღლეები დეტალურად თანხმდებოდნენ ქონებრივ საკითხებზე; განხორციელდა მინდობილობის საფუძველზე კლიენტის ინტერესების წარმოდგენა ადმინისტრაციულ ორგანოებში, სადაც გატარდა მხოლოდ ის ღონისძიებები, რომლებმაც გამოიღო კლიენტისთვის სასურველი და თავიდანვე მოთხოვნილი შედეგი, რომელზეც კლიენტს გარანტიები და დაპირებების არ მისცემია; ადვოკატის დროის რესურსის გათვალისწინებით უზრუნველყოფილი იყო კლიენტთან სატელეფონო და ვებ კომუნიკაცია. ასევე, პირადი კომუნიკაცია, კლიენტი მას აწვდიდა და ადვოკატიც უგზავნიდა ყველა საჭირო დოკუმენტის ფოტოს და დასკანერებულ მასალას.

3.6 ადვოკატის განმარტებით, ზ. ხ.-მა, დამოუკიდებლად, მისი იურიდიული რჩევების მიღების შემდეგ მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ქონებაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის მიზნით. ასევე, კლიენტთან განსაზღვრული სტრატეგიის მიხედვით ადვოკატს განქორწინებისა და ქონების გაყოფის მოთხოვნით უნდა მიემართა სასამართლოსთვის, რის შემდეგაც ადვოკატი ფიქრობდა რომ ზ. ხ.-ის მეუღლე უკან დაიხევდა და შეწყვეტდა შანტაჟს. საბოლოოდ, ზ. ხ.-ის სასარგებლოდ დასრულდა დავა, რაშიც ადვოკატი საკუთარი მუშაობის მნიშვნელობაზე მიუთითებს. მიუხედავად ამისა, საჩივრის ავტორმა ადვოკატის თითქმის ერთთვიანი მუშაობის შემდეგ, 2019 წლის 21 დეკემბერს შეატყობინა ურთიერთობის შეწყვეტის და თანხის დაბრუნების მოთხოვნის თაობაზე.

3.7 ადვოკატი მიიჩნევს, რომ მან იმგვარი ფინანსური რისკებისგან დაიცვა კლიენტი, რომ ზ. ხ.-ის მიერ გადახდილი ჰონორარის უკან დაბრუნების საფუძველი არ არსებობს. ამასთან, ადვოკატის განმარტებით, გასათვალისწინებელია ასევე ის ფაქტიც, რომ ადვოკატმა სრულად შეასრულა საკუთარი მოვალეობები და უპირობოდ დაიცვა კლიენტის ინტერესები.

3.8 2021 წლის 15 ივლისის განხილვის კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა ზ. ბ.-მა დაადასტურა 2020 წლის 08 იანვარს მის მიერ წერილობით ახსნა-განმარტებაში აღწერილი გარემოებები.

4. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

4.1 2020 წლის 15 ივლისს, პირველმა დისციპლინურმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ზ. ბ.-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

4.2 საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ იმ შემთხვევაში თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატმა ზ. ბ.-მა ჯეროვნად არ მიაწოდა კლიენტს ინფორმაცია ჰონორარის შესახებ, არ აწარმოა სრული და ზუსტი ჩანაწერი კლიენტის მიერ გადახდილი საქმის წარმოების ხარჯებთან დაკავშირებით და არ გადასცა კლიენტს გამოუმუშავებელი ჰონორარი, შესაძლოა ადვოკატის მიერ დარღვეული იყოს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 6.2 მუხლი და აპეკ-ის 8.6, 8.8, 8.12, 8.13 და 8.15 მუხლები.

4.3 საპროცესო ეტაპზე ადვოკატს არ წარმოუდგენია მტკიცებულება, რომლითაც შეძლებდა იმ ფაქტის დადასტურებას, რომ კლიენტს მიაწოდა ამომწურავი ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ. ადვოკატს საპროცესო კოლეგიისათვის არ წარმოუდგენია მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა საადვოკატო მომსახურების პროპორციული ჰონორარის მიღების ფაქტს.

II სამოტივაციო ნაწილი

5. საქმის ფაქტები:

5.1 ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი ფაქტები, რომლებიც უდავოა მხარეთა შორის:

5.1.1 ადვოკატ ზ. ბ.-სა და ზ. ხ.-ს შორის ზეპირი ფორმით დაიდო იურიდიული მომსახურების შესახებ ხელშეკრულება, რაც ითვალისწინებდა კლიენტის ინტერესების დაცვას განქორწინებისა და ყოფილ მეუღლეებს შორის ქონების გაყოფის შესახებ სამოქალაქო დავაში. მხარეთა შორის მინდობილობა გაფორმდა 2019 წლის 27 ნოემბერს.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

მხარეთა ახსნა-განმარტება;

2019 წლის 27 ნოემბერს გაფორმებული მინდობილობა, სადაც მარწმუნებელს წარმოადგენს ზ. ხ., ხოლო რწმუნებულია ზ. ბ.;

2019 წლის 03 დეკემბრის თანხის მიღება-ჩაბარების აქტი.

5.1.2 ზ. ხ.-მა ადვოკატ ზ. ბ.-ს სრულად გადაუხადა საადვოკატო მომსახურების საფასური 3000 აშშ დოლარი.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

მხარეთა ახსნა-განმარტება;

2019 წლის 03 დეკემბრის თანხის მიღება-ჩაბარების აქტი.

5.1.3 ადვოკატმა ზ. ბ.-მა განცხადებით მიმართა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და მოითხოვა უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში დაცული დოკუმენტების ასლები.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

მხარეთა ახსნა-განმარტება;

ადვოკატ ზ. ბ.-ის მიერ 2019 წლის 06 დეკემბერს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში წარდგენილი განცხადება N.

5.1.4 ზ. ხ.-მა, მიაღწია მორიგებას მეუღლესთან და აღარ დასჭირდა საადვოკატო მომსახურების მიღება განქორწინებისა და ქონებრივ დავაში.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

მხარეთა ახსნა-განმარტება;

5.1.5 მხარეთა შორის ურთიერთობა შეწყდა 2019 წლის 20 დეკემბერს, როდესაც საჩივრის ავტორმა ადვოკატს მოსთხოვა მისთვის გადაცემული თანხის დაბრუნება.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

მხარეთა ახსნა-განმარტება.

5.1.6 მხარეთა ინიციატივით, განხილვის კოლეგიამ 2021 წლის 15 ივლისის სხდომაზე განსაზღვრა მორიგების ვადა, თუმცა მხარეები ვერ მორიგდნენ.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

მხარეთა ახსნა-განმარტება.

6. შემაჯამებელი დასკვნა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ზ. ბ.-ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

7. სამართლებრივი შეფასება:

7.1 განხილვის კოლეგიის შეფასებით, ადვოკატმა ზ. ბ.-მა ზუსტი და ამომწურავი ინფორმაცია არ მიაწოდა კლიენტს ანაზღაურების გამოთვლის წესის; თანხის მიზნობრიობისა და დანიშნულების თაობაზე და არ დაუბრუნა ზ. ხ.-ს გამოუმუშავებელი ჰონორარი, შესაბამისად, ადვოკატ ზ. ბ.-ის მიერ დარღვეულია შემდეგი ნორმები:

7.1.1 ადვოკატმა კლიენტს, მასთან შეთანხმებული წესით, უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წამოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.6).

7.1.2 ადვოკატის ანაზღაურების გამოთვლის წესი და შესაბამისი განაკვეთი წინასწარ უნდა იყოს ცნობილი და მისაღები კლიენტისათვის (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.8).

7.1.3 ადვოკატმა უნდა აწარმოოს სრული და ზუსტი ჩანაწერი კლიენტის მიერ გადახდილ საქმის წარმოების ხარჯებთან დაკავშირებით და წარუდგინოს კლიენტს ანგარიშგება (ეთიკის კოდექსი, მუხლები 8.12, 8.13).

7.1.4 კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას, ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ფულადი სახსრები, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას და გამოუმუშავებელი ჰონორარი (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.15).

7.2 კლიენტის ინფორმირების ვალდებულების ჯეროვანი შესრულება უმნიშვნელოვანესია ადვოკატის პროფესიულ საქმიანობაში, რადგან ინფორმირებით კლიენტს ეძლევა შესაძლებლობა სრულყოფილად ჩაერთოს თავისი საქმის განხილვის პროცესში და მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილებები. ადვოკატმა, კლიენტთან ურითიერთობის დაწყების ეტაპიდანვე უნდა განსაზღვროს კომუნიკაციის რა ფორმას გამოიყენებს კლიენტთან და მიაწოდოს ამის შესახებ ინფორმაცია კლიენტს. ადვოკატის მხრიდან კლიენტის ინფორმირების ვალდებულების შესრულება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ კლიენტის ინტერესების დასაცავად, არამედ, ასევე ადვოკატის პროფესიისადმი ნდობის გასაღრმავებლად. ამასთან, კომისია განმარტავს, რომ მიუხედავად ზოგადი დანაწესისა, რომ მტკიცების ტვირთი აკისრია საჩივრის ავტორს, ინფორმირების ვალდებულების ჯეროვანი შესრულების თაობაზე მტკიცების ტვირთი ადვოკატზე გადმოდის (ეთიკის კომისიის 2019 წლის 15 ივლისის 141/18 გადაწყვეტილება).

7.3 კლიენტს უფლება აქვს იცოდეს მის მიერ ადვოკატისთვის გადაცემული თანხა რას მოხმარდება, იქნება ეს მხოლოდ მომსახურებისთვის გათვალისწინებული ჰონორარი თუ ამავე დროს საქმის წარმოებისთვის გათვალისწინებული ხარჯები. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი ავალდებულებს ადვოკატს უზრუნველყოს კლიენტის ინფორმირება, რადგან კლიენტს მიეცეს შესაძლებლობა სრული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება იურიდიული მომსახურების მიღების თაობაზე. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ჰონორარი გაიმიჯნოს მინდობილი თანხებისგან, რადგან ჰონორარი, წარმოადგენს ადვოკატის საკუთრებას, ხოლო საქმისწარმოებისათვის გათვალისწინებული თანხები - მინდობილი თანხები წარმოადგენს კლიენტის საკუთრებას. სწორედ ამიტომ განსაზღვრავს სპეციალურ წესებს ეთიკის კოდექსი მინდობილი თანხის კეთილსინდისიერ მართვასთან დაკავშირებით, რადგან ეს თანხა წარმოადგენს კლიენტის საკუთრებაში არსებულ ფულად სახსრებს/ქონებას (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის, შემდგომში „ეთიკის კომისიის“ 2018 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქმე N125/18).

7.4 კლიენტისთვის საქმისწარმოების ნებისმიერ ეტაპზე ხელმისაწვდომი უნდა იყოს ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია, ხოლო „სრული და ზუსტი ჩანაწერის“ წარმოების ვალდებულება მოიცავს კლიენტის საქმეზე ფინანსურ დანახარჯებთან დაკავშირებული ინფორმაციის შემცველი ყველა დოკუმენტის (ხელშეკრულება, საბანკო ქვითრები, საგადასახადო დავალებები, ცნობები და სხვ.) წარმოებას (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2017 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება, საქმე #დს-შ/1-17). აღნიშნული ვალდებულება უკავშირდება კლიენტის მოთხოვნისთანავე ანგარიშგების მოწესრიგებული სახით მიწოდების ვალდებულებას. ადვოკატს ეკისრება იმ ფაქტის მტკიცების ტვირთი, რომ ის აწარმოებდა ხარჯთაღრიცხვას და კლიენტს მისთვის

გადაცემული თანხის ხარჯთაღრიცხვის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა“ (ეთიკის კომისიის 2015 წლის 02 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმე #133/13).

7.5 მოცემულ შემთხვევაში, ზ. ხ.-სა და ადვოკატ ზ. ბ.-ს შორის საადვოკატო მომსახურება დასტურდება ზეპირი შეთანხმებით, თანხის მიღება-ჩაბარების აქტითა და რწმუნებულების არსებობით. საადვოკატო ჰონორარის - 3000 აშშ დოლარის გადახდის ფაქტს მხარეები სადავოდ არ მიიჩნევენ. მხარეებს შორის არ არსებობდა წერილობითი ხელშეკრულება, რომლითაც განსაზღვრული იქნებოდა ხელშეკრულების საგანი ან მხარეთა უფლება-მოვალეობები, თუმცა 2019 წლის 03 დეკემბერს მხარეებმა შეადგინეს თანხის მიღება - ჩაბარების აქტი, რომელიც ხელმოწერილია საჩივრის ავტორისა და ადვოკატ ზ. ბ.-ის მიერ. მიღება-ჩაბარების აქტით განსაზღვრულია, რომ ადვოკატმა ზ. ხ.-ისაგან მიიღო 3000 აშშ. დოლარი, როგორც განქორწინებისა და მეუღლეთა სავარაუდო თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გაყოფასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯი. ადვოკატ ზ. ბ.-ის მიერ შედგენილი აქტი და მხარეთა ახსნა-განმარტებები სხვადასხვა ინფორმაციას შეიცავს თანხის მიზნობრიობის თაობაზე, რაც ადასტურებს, რომ ადვოკატმა სწორად არ მიწოდა კლიენტს ინფორმაცია მიღებული თანხის მიზნობრიობაზე - მოიცავდა ის ჰონორარს თუ ასევე მოიცავდა მოსალოდნელ ხარჯებს. საქმის განხილვის არც ერთ ეტაპზე ადვოკატს არ წარმოუდგენია მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა მის მიერ ფინანსური ანგარიშგების სრული და ზუსტი ჩანაწერების წარმოებას. შესაბამისად, განხილვის კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატს არ აქვს აღრიცხული კლიენტისგან ჰონორარის ან საქმესთან დაკავშირებული ხარჯებისათვის გათვალისწინებული თანხების მიღება, რომლის გათვალისწინების შემთხვევაში ადვოკატი შეასრულებდა ეთიკის კოდექსით ნაკისრ მოთხოვნებს, ამასთან მას ექნებოდა საშუალება დაეცვა თავი კლიენტის პრეტენზიებისგან. შესაბამისად დგინდება, რომ ადვოკატ ზ. ბ.-ის მიერ დაარღვეულია ჰონორარის ოდენობის განსაზღვრის, მისი გამოთვლის წესის და მოსალოდნელი ხარჯების შესახებ კლიენტის ინფორმირების ვალდებულება.

7.6 მხარეები სადავოდ არ ხდიან იმ ფაქტს, რომ კლიენტმა მეუღლესთან მიაღწია შეთანხმებას და მას აღარ დასჭირდა განქორწინებასა და ქონების გაყოფაზე სასამართლო დავა, შესაბამისად საჩივრის ავტორს აღარ სჭირდებოდა საადვოკატო მომსახურება.

7.7 „იმ შემთხვევაში, როდესაც ადვოკატს კლიენტისაგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური, ხოლო წარმომადგენელმა, ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს უფლება აქვს მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი, ხოლო დარჩენილი თანხა უნდა დაუბრუნოს კლიენტს. ადვოკატის პროფესიული ქცევის აღნიშნული სტანდარტი ემსახურება კლიენტის ინტერესებს და ადვოკატის ავტორიტეტის დაცვას, გამომდინარეობს ადვოკატის ვალდებულებიდან იმოქმედოს კლიენტის ინტერესებით, თავისი ქცევით

პატივისცემას იწვევდეს კლიენტში“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 21.11.2016 წლის გადაწყვეტილება, საქმეზე დს-შ/17-16).

7.8 ადვოკატმა მის მიერ განხორციელებული მოქმედებების დადასტურების მიზნით ეთიკის კომისიაში წარმოადგინა შემდეგი მტკიცებულებები: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 06 დეკემბრის განცხადების მიღების ბარათი, რომლის მიხედვით ადვოკატმა ზ. ბ.-მა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მიმართა ზ. ხ.-ის ყოფილი მეუღლის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე უფლებათა რეესტრში დაცული დოკუმენტის ასლის გამოთხოვის მიზნით; საჯარო რეესტრის ეროვნულის სააგენტოს 2019 წლის 09 დეკემბრის გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით დაკმაყოფილდა ადვოკატ ზ. ბ.-ის მოთხოვნა და მას გადაეცა ზ. ხ.-ის ყოფილი მეუღლის ქონებაზე უფლებათა რეესტრში დაცული დოკუმენტაციის ასლები; საჯარო რეესტრის ამონაწერები ზ. ხ.-ის ყოფილი მეუღლის ქონებრივი მდგომარეობის შესახებ; საქორწინო ხელშეკრულება, ასევე ამ ხელშეკრულების საჩივრის ავტორთან გადაგზავნის დამადასტურებელი მტკიცებულება და საჩივრის ავტორსა და ადვოკატს შორის კომუნიკაციის ამსახველი მტკიცებულებები. ადვოკატმა ასევე წარმოადგინა ზ. ხ.-ის მიერ 2019 წლის 18 დეკემბერს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში წარდგენილი განცხადებები: N, N და N, რომლითაც ზ. ხ.-მა მოითხოვა მიწის ნაკვეთებზე სახელმწიფო პროექტის ფარგლებში უფლების რეგისტრაცია, თუმცა წარმოდგენილ განცხადებებში არ ჩანს ადვოკატ ზ. ბ.-ის მონაწილეობა.

7.9 კოლეგიის შეფასებით, ადვოკატს გარკვეული მოქმედებები აქვს განხორციელებული ზ. ხ.-ის ინტერესების სასარგებლოდ, თუმცა მას არ აქვს შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულება სრულად შესრულებული, რაც გამოწვეულია საჩივრის ავტორისა და მისი ყოფილი მეუღლის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე განქორწინებით. მიუხედავად ამისა, ადვოკატს მაინც გააჩნია გამოუმუშავებელი თანხის დაბრუნების ვალდებულება, რადგან თანხა ითვალისწინებდა კონკრეტული მომსახურების განხორციელებას, რაც ადვოკატის მიერ არ შესრულდა. 2021 წლის 15 ივლისის განხილვის კოლეგიის სხდომის შემდეგ ადვოკატ ზ. ბ.-მა აღიარა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ქცევის სტანდარტის დარღვევა და მხარეებს შორის დაიწყო მორიგების პროცესი, კერძოდ, ადვოკატს საჩივრის ავტორისათვის უნდა დაებრუნებინა 1500 აშშ დოლარი. თანხის დასაბრუნებლად ადვოკატს განესაზღვრა ორ კვირიანი ვადა, თუმცა ადვოკატს საჩივრის ავტორისათვის აღნიშნული თანხა არ დაუბრუნებია.

7.10 კოლეგიამ დაადგინა, რომ ადვოკატ ზ. ბ.-ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა, რაც გამოიხატება ადვოკატთა შესახებ კანონის 6.2 მუხლისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.6, 8.8, 8.12, 8.13 და 8.15-ე მუხლებით მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევაში.

7.11 დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმის განსაზღვრისას, ეთიკის კომისიამ იმსჯელა ბრალის ხარისხზე და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის პროპორციულობაზე.

7.12 ადვოკატს, დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში შესაძლოა დაეკისროს დისციპლინური სახდელი (გაფრთხილება, საადვოკატო საქმიანობის უფლების შეჩერება და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა) ან/და ზემოქმედების ღონისძიება - კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 34).

7.13 „დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს ადვოკატის ბრალეული ქმედება, ხოლო ბრალის ხარისხი - კონკრეტულის სახდელის ან ზემოქმედების შერჩევის წინაპირობას. ამასთან, უნდა მოხდეს ადვოკატის პიროვნების, მის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომების, საქმიანი და მორალური რეპუტაციის ჩადენილი გადაცდომის სიმძიმის და მის ჩადენაში ადვოკატის ბრალის ხარისხის შეფასება“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილება, საქმე #დს-შ/3-15, 01.04.2015).

7.14 „სახდელის დანიშვნის დროს ეთიკის კომისიის მიერ მხედველობაში მიიღება ის ზოგადი წესები, რომლებიც განაპირობებს სამართლიანი სახდელის დაკისრებას, პირის დასჯას მის მიერ ჩადენილი ქმედების თანაზომიერად. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია ჩადენილი გადაცდომის ხასიათის, დამრღვევის პიროვნების, გადაცდომის სიმძიმის, შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების მხედველობაში მიღებით, რაც სახდელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გატარების აუცილებელი პირობათაგანია“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილება, საქმე #დს-შ/3-17, 22.05.2017).

7.15 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ საქმეზე დს–შ/13–15 განმარტა, რომ „დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს ადვოკატის ბრალეული ქმედება, ხოლო ბრალის ხარისხი – კონკრეტული სახდელის ან ზემოქმედების შერჩევის წინაპირობას. ამასთან, უნდა მოხდეს ადვოკატის პიროვნების, მის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომების, საქმიანი და მორალური რეპუტაციის, ჩადენილი გადაცდომის სიმძიმისა და მის ჩადენაში ადვოკატის ბრალის ხარისხის შეფასება.“

7.16 ეთიკის კომისია ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, ზიანს, ფაქტს, რომ გადაწყვეტილების გამოტანის დროს, ადვოკატს არ აქვს შეფარდებული სხვა დისციპლინური სახდელი, ფაქტს, რომ ადვოკატი ზ. ბ. აღიარებს დარღვევას და ადგენს, რომ კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა იქნება ადვოკატის მიერ განხორციელებული პროფესიული ვალდებულების დარღვევის პროპორციული დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმა.

7.17 განხილვის კოლეგია ასევე განმარტავს, რომ კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა მხოლოდ დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებას წარმოადგენს და არა პასუხისმგებლობის ან სახდელის სახეს. კერძო სარეკომენდაციო ბარათი თავისი შინაარსით შეიცავს, მხოლოდ რჩევებს და რეკომენდაციებს იმ ზომების შესახებ, რომელიც ადვოკატმა უნდა მიიღოს პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრისა და დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თავიდან აცილების მიზნით, ხოლო მისი გაცემის ფაქტი კონკრეტულ ადვოკატზე ეცნობება მხოლოდ განხილვის მხარეებს. კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსი ხელმისაწვდომია მხოლოდ ადვოკატისთვის.

(ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულება, მუხლი 38).

7.18 კომისიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 34-ე მუხლით, ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 33-ე, 35–ე და 38–ე მუხლებით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე N159/19 ადვოკატ ზ. ბ.-ის მიმართ /სიითი N/ დადგინდეს დისციპლინური გადაცდომა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსი კონფიდენციალურია და ეგზავნება მხოლოდ ადვოკატს.
4. დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების გამოყენების თაობაზე ეთიკის კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /თორნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი: /მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი: /ცისმარი ონიანი/